დასკვნა

მშენებლობის (განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის გარდა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ დადგენილების შესახებ

„მშენებლობის (განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის გაედა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე, აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის გადახდის წესისა და ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ - დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტი.

ზემოაღნიშნული ნორმების შესაბამისად ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება, მათი განაკვეთების დადგენა მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებებია.

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 და მე-6[1] მუხლებთან, რომელთა თანახმადაც მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებელი ადგილობრივი სანებართვო მოსაკრებლის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, რომლის გადახდის წესსა და ოდენობას განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკრებულო.

პროექტი ასევე შეესაბამება ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველს კანონის 25-ე მუხლს, რომლის თანახმადაც ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი ძალას კარგავს, თუ მიღებულია (გამოცემულია) ნორმატიული აქტი, რომელიც მას ძალადაკარგულად აცხადებს.

წამყვანი სპეციალისტი სამართლებრივი აქტების პროექტების

მომზადებისა და ექსპერტიზის საკითხებში : ნინო ვაჩეიშვილი